

16. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული სამხედრო და მილიციის ნაწილების დაქვემდებარებისა და მათი საქმიანობის კოორდინაციის დროებითი სამხედრო საბჭოს შექმნის შესახებ

სსრ კავშირის არსებობის შეწყვეტასთან და საკავშირო სტრუქტურების, მათ შორის, აგრეთვე საკავშირო შსს სამხედრო ნაწილების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობს რა აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან შეიქმნას აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული სამხედრო და მილიციის ნაწილების დაქვემდებარებისა და მათი საქმიანობის კოორდინაციის დროებითი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საბჭოს თავმჯდომარე – ვ. გ. არძინბა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე;

საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე – ა. ი. არშბა, პოლკოვნიკი, აფხაზეთის შს მინისტრის პირველი მოადგილე;

თავმჯდომარის მოადგილე – ლ. რ. გორჟიანი, პოდპოლკოვნიკი;

საბჭოს წევრები: თ. ნ ჭკადუა, პოლკოვნიკი, აფხაზეთის სამხედრო კომისარი; ს. პ. დბარი, ქ. სოხუმის სამხედრო კომისარი; ბ. გ. მირველოვი, პოლკოვნიკი, ქ. გაგრის სამხედრო კომისარი; ა. ბ. კლიმოვი, მილიციის მაიორი, # 5482 სამხედრო ნაწილი მეთაური; გ. კ. აგრბა, პოდპოლკოვნიკი.

სამხედრო და მილიციის ნაწილების საქმიანობისა და დადაქვემდებარების საკოორდინაციო დროებითმა საბჭომ თავის პრაქტიკულ საქმიანობაში იხელმძღვანელოს დამტკიცებული შესაბამისი დებულებით.

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. არძინბა.

1991 წლის 29 დეკემბერი.

(თ. ნადარეიშვილი, Геноцид в Абхазии, 1998, გვ. 55-56. საკუთარი თარგმანი)